

კუბლიკაციები გურიის სულიერი და
მატერიალური კულტურის ისტორიიდან

გურიის სიფლარების წარმოშობა

ვანო ა. ჯანაშია



პუბლიკაციები გურიის სულიერი და მატერიალური
კულტურის ისტორიიდან

1

გურიის სულიერი და კულტურული ფასეულობების
შესწავლისა და პოპულარიზაციის ცენტრი.

2005



ვარლამ სიმონიშვილი

**გურიის
სიძლერების
ნარმოშობა**

თბილისი. 2005

**ექვნება ვარლამ სიმონიშვილის
დაბადებიდან 140 წლისთავს**

გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები
დაურთო **ილია თავბერიძემ**
ფოტომასალა **ლუარსაბ ტოგონიძის**
დიზაინი **ლუკა გოცირიძის**

ISBN 99940-0-314-3 (მთლიანი სერია)

ISBN 99940-0-315-1 (პირველი ნაკვეთი)

© გურიის სულიერი და კულტურული ფასეულობების
შესწავლისა და პოპულარიზაციის ცენტრი, თბილისი, 2005

ვარლამ სიმონიშვილი

საუბარი ვარლამ სიმონიშვილზე, გამოჩენილ ლოტბარ-სა და გურული ხალხური სიმღერების მოამაგეზე, აუცილებლად მისი გარეგნობით უნდა დაიწყო. ამას წინათ ერთმა გაზეთმა საქართველოს დამსახურებული მხატვრის ნოდარ მაღაზონიას მშვენიერი ესკიზები გამოაქვეყნა — „ოზურგეთული ამარკორდი“. ამ ლამაზი კუთხისა და ქალაქის კოლორიტულ პერსონაჟთა შორის ავტორი რამდენიმე სიტყვით გვიხატავს ვარლამ სიმონიშვილის პორტრეტს, თანაც იმდენად კარგად, რომ იმ მოგონებათა შორის, რაც კი აქამდე წამიკითხავს, ყველაზე ზუსტად გადმოგვცემს იმას, რაც ოზურგეთში მომისმენია:

„გურიაში სახელგანთქმული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ლოტბარი, ვარლამ სიმონიშვილი, მკაცრი და ერთგვარი ამბიციური შესახედაობის ლამაზი კაცი იყო.

ტანზედ ვარლამს მეწამულისფერი ჩოხა და მწკანე ხავსისფერი ახალუხი, წელზედ კი ვერცხლის მოსირმული ხანჯალი ეკიდა მუდამ. ფეხზედ შავი შემოწკებილი, მუხლის ქვემოთ ვერცხლისავე ბაბთებიანი პაჭიჭებით შემოსალტული უძიროები ეცვა.

ვარლამი თავის „მედლებსა და ორდენებს“ მამას (ცნობილ მხატვარს ლადო მაღაზონიას) ახატვინებდა, შემდეგ კი ბათუმში ოქრომჭედელს შესაფერის მასალაში გამოაჭედვინებდა და ჰქონდა მკერდი „ორდენებითა და მედლებით“ „მოჩინჩხლული“: იმდენი და იმნაირი, როგორც მას მოსწონდა, რომლებზედაც „ჩონგურ-ფანდური“ თუ „შაშვი და კაკაბი“ იყო გამოსახული.“

მართალია, ვარლამ სიმონიშვილს ჯილდოები არ აკლდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი მედლები და ორდენები ერჩივნა საბჭოთა ხელისუფლებისაგან მიცემულს. მის ერთვრულ ჩაცმულობას სწორედ ისინი მოუხდებოდა. ბა-

ტონი ვარლამი ყველა ფოტოზე ასეთი ფორმითაა აღბეჭდილი. გარეგნობაც საუცხოო ჰქონია. თანამედროვენი იგონებენ, რომ სიარულიც ისეთი იცოდა და მიხვრა-მოხვრაც ისეთი ქონდა, ქუჩაში ხალხი ჩერდებოდა და უყურებდაო. სწორედ ამ გარეგნობაში ჩანს მისი ღრმად ეროვნული ხასიათი, რითაც ამაყობდა კიდევ. გამიგონია, რეპეტიციის დროს ტაშს ნელ-ნელა აყოლებდა სიმღერას, ოდნავ წინ გამოწეული ხელებით. ღირიჟორობაც ასე უყვარდა თურმე: „ხელებს არ გაიწვდიდა განზე. მხოლოდ გულ-მკერდის გასწვრივ, პატარა მანძილზე მოკრძალებით ღირიჟორობდა.“ მუდამ მოწესრიგებულს ცალ ჯიბეში ცხვირსახოცი ედო, მეთრეში კი – შავი ნაჭერი. ამოიღებდა ხოლმე ამ ნაჭერს და „ზიაცკებს“ აპრიალებდა თურმე.

ვარლამ სიმონიშვილი ასეთი დაამახსოვრდათ მის თანამედროვეებს.

მან ლოტბარობისა და შემოქმედების გრძელი გზა განვლო: 1900 წლიდან ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში საეკლესიო გალობას ასწავლიდა, 1903 წელს, ფილიმონ ქორიძის დახმარებით, 15-კაციანი ანსამბლი ჩამოაყალიბა. 1906 წელს სოფელ სხვიტორში გამართულ აკაკის იუბილემი მონაწილეობდა. მოგვიანებით, 1913 წელს ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ საღამოზე გამოსულა. 1921 წელს დაინიშნა გურიის სამაზრო გუნდების ხელმძღვანელად. მონაწილეობდა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ, ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადაებში. 1934 წელს დააარსა ოზურგეთის სახელმწიფო ეთნოგრაფიული ანსამბლი; ხელმძღვანელობდა ლანჩხუთის ეთნოგრაფიულ გუნდს. 1947 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

2004 წელი ვარლამ სიმონიშვილის საიუბილეო წელი იყო. ბევრი დაიწერა მასზე. ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრმა (ხელმძღვანელი ბატონი ანზორ ერქომაიშვილი) გამოსცა სამტომეული — „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. გურია“, სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვარლამ სიმონიშვილსა და მის სკოლას (ავტორები: ნინო კალანდაძე, ლელა ურუშაძე, მარინა კვიციანიძე, უჩა პატარიძე). ცენტრის მიერ ორგანიზებული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ფესტივალის — „ჩვენ მშვიდობა“, პროგრამის ფარგლებში ვარლამ სიმონიშვი-

ლის საფლავს პატივი მიაგეს ხალხური სიმღერებისა და გალობის ქართველმა და უცხოელმა შემსრულებლებმა.

ვარლამ სიმონიშვილი შემოქმედის მონასტრის ყოფილი გალავანის შიგნით განისვენებს. XIX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის არმიის მიერ მორღვეულ გალავანში კარგა ხნით დადუმდა მონასტრის სულიერი და კულტურული ცხოვრება, ხოლო შემდეგ, საუკუნენახევრის განმავლობაში აღარ ისმოდა ღმრთის სადიდებელი სიტყვა და ქართული გალობა, იმ მონასტერში, რომლის სამგალობლო სკოლა უბრწყინვალესია ჩვენამდე მოღწეული საგალობლების კილოთი და მუსიკალობით. ამ სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლების მიერ შესრულებული საგალობლები, ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტებზე გადატანილი და მაღლიანი ქართველების მიერ ჩვენამდე შემონახული, დღესაც გამოიყენება ღმრთისმსახურებაში.

გადმოცემით ვარლამ სიმონიშვილის საფლავთან ახლოს უნდა იყოს ცნობილი მგალობლების – ანტონ და დავით დუმბაძეების საფლავებიც. სწორედ, მათგან ეხიარა ვარლამი საეკლესიო გალობის მადლს. 13 წლის ყოფილა იგი, როცა მშობლებს ანტონ დუმბაძისთვის მიუბარებიათ. არის სხვა გადმოცემაც: ერთ დღეს, სკოლიდან სიმღერით მომავალი ვარლამის ვინაობით ანტონ დუმბაძის ვაჟი, ასევე ცნობილი მგალობელი და მღვდელი დავით დუმბაძე დაინტერესებულა და თავისთან წაუყვანია. მოგვიანებით, როცა ქ. ოზურგეთში ფილიმონ ქორიძე ჩამოვიდა, მასწავლებელი ხშირად გზავნიდა მასთან ვარლამს. აქ დაიწყო მან სანოტო სისტემის შესწავლა:

„ნათესავი ბიჭი წამოვიყვანე ლევით სავსე კალათით და ამ უბრალო ნობათით ვეახელი დიდ მომღერალსა და მუსიკოსს ფილიმონ ქორიძეს, რომელიც ოზურგეთში ცხოვრობდა, მოედანზე ფირცხალაიშვილების ოჯახში; ბატონმა ფილიმონმა მიმილო, მომისმინა და დამაწყებინა ჩემი თხოვნით სანოტო სისტემის სწავლება. მეც დიდი გულისყურით ვსწავლობდი.“ – იგონებდა ვარლამ სიმონიშვილი („ოზურგეთის გაზეთი“. 2001 წ.).

ვარლამ სიმონიშვილი, როგორც გამოჩენილი მგალობელი, ნაკლებადაა ცნობილი. არადა, იგი შესანიშნავი მცოდნე გახლდათ საგალობლებისა. მაგრამ, მან ვერ მოახერხა მომავალი თაობისთვის სრულად ესწავლებინა და

გადაეცა გალობის ბრწყინვალე ნიმუშები. მისი მოსწავლეების თქმით „მთავრობა კრძალავდა და იმიტომო“.

საბედნიეროდ, ჩვენამდე შემონახულია ვარლამ სიმონიშვილის მიერ არტემ ერქომაიშვილთან და დიმიტრი პატარავასთან ერთად შესრულებული 11 საგალობლის ჩანაწერი. იგი 1949 წლის ზაფხულში მახარაძეში (ახლა ოზურგეთი) თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ექსპედიციამ ჩაიწერა ვლადიმერ ახობაძის ხელმძღვანელობით. ვარლამ სიმონიშვილის ეთნოგრაფიული ანსამბლის წევრმა, უურნალისტმა სამუელ თოიძემ შემოგვინახა შესანიშნავად აღწერილი მასალა ექსპედიციის მუშაობის თაობაზე („საგალობელთა უნიკალური განძი და ხალხური ნოტები“. ვაზ. „ლენინის დროშა“. 1981 წ. 6 ოქტომბერი). ბატონი ვარლამი თურმე ძლიერ წუხდა გალობის ასეთი მდგომარეობის გამო: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მე ... ეს საეკლესიო საგალობლები სრულებით მივატოვე. დავივიწყე და ახლა რომ გონების თვალთ ვაკლებ ჩემს მარაგს, ერთი სამას ორმოცდაათამდე შემიძლია ასე ზეპირად რომ აღვადგინო“. არტემ ერქომაიშვილს ორიათასხუთასი საგალობლის აღდგენის შესაძლებლობა დაუსახელებია; დიმიტრი პატარავას, „ნეკემების“ შემცველი წიგნაკის დანმარებით, სამიათასხუთასი საგალობლის შესრულების მზადყოფნა გამოუთქვამს. ექსპედიციამ მხოლოდ თერთმეტი საგალობლის ჩაწერა მოახერხა. დღეს ეს თერთმეტი მარგალიტი საეკლესიო გალობისა გამოცემულია როგორც სანოტო კრებულის სახით, ასევე კომპაქტდისკზე (ნოტებზე გადაიღო და შეადგინა დავით შუღლიაშვილმა. თბილისი. 2004).

ვარლამ სიმონიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა მართო სახელგანთქმული კოლექტივების შექმნასა და ხელმძღვანელობას როდი მოიცავდა. „მან შექმნა ამა თუ იმ სიმღერების ცალკეულ ხმათა ვარიაციები, რომლებიც დღემდე „სიმონიშვილისებურ“ ვარიანტებადაა ცნობილი... მისი გუნდის მიერ შესრულებული სიმღერები ყოველთვის გამოირჩევა ვარიანტების სიმრავლითა და არაჩვეულებრივი ხალხურობით“ (ანზორ ერქომაიშვილი). ამავე დროს იგი რამდენიმე სიმღერის ავტორიცაა. არ მეგულება სიმღერის მოყვარული ადამიანი, ვისაც სიმონიშვი-

ლისეული „დილა“ არ მოესმინოს, ჩონგურის თანხლებით შესრულებული საოცრად ლირიული მელოდია. თუმცა, მისი ავტორობით საბჭოთა ბელადებისადმი მიძღვნილი სიმღერებიც შექმნილა. და, აი რატომ:

ბატონი ანზორ ერქომაიშვილი ნარკვევში „ჩემი წინაპარი“ იხსენებს ერქომაიშვილებთან ვარლამ სიმონიშვილის ერთ-ერთ სტუმრობას. მას გიგო ერქომაიშვილისთვის უთქვამს:

„— ეჰ, გიგო ბატონო, ერთ ხანს არ ვაპირებდი ამ „ზაკანონი“ სიმღერების შესრულებას პარტიაზე, ბელადებზე, კოლექტივზე, მარა მერე ამის გულისთვის დამიჭირეს და კინაღამ გამაცემბირეს, კი იცით მაგი თქვენ. ე, მერე ვიკადრე და დავეწერე ლექსი სტალინზე და პოლიტბიუროზე, ავაგე ზედსიმღერა და ახლა ამ სიმღერით ვიწყებ ყველა კონცერტს. არ მომწონს, მარა რა ვქნა, სული მწარე ყოფილა. მომღერლებიც აღარ მყავს, თქვენ რომ გახსოვთ იმფერი, ზოგი დეიჭირეს, ტროცკისტობა დასწამეს, ზოგიც ფრონტზე წიყყანეს და უგზოუკვლოდ დაიკარგა“.

ვ.სიმონიშვილის დაპატიმრების შესახებ მხოლოდ გადმოცემით ვიცით. სამამულო ომის წლები იყო. როგორც ბატონი ანზორ ერქომაიშვილი მოგვითხრობს, სასადილოში ვარლამისთვის ვიღაცას უკითხავს, ჰიტლერი რომ შემოვიდეს, რას იზამო? მას უპასუხია: ნიკოლოზის დროს ვმღეროდი, კომუნისტების დროს ვმღერი და მაშინაც ვიმღერებ. მე ხომ აგორებული ქვა ვარ, ჩემი საქმე სიმღერააო. სხვა გადმოცემით, თითქოს სასადილოში პური დაუწუნია და ამისთვის დაუპატიმრებიათ. ფაქტია, რომ ვიღაცამ უმტრო. ციხეში 9 თვე დაუყვია. ციხიდან გამოსვლის შემდეგ არტემ ერქომაიშვილთან მისულა და დაპატიმრების მიზეზზე, უსიტყვოდ თითით ენაზე მიუნიშნებია.

ვარლამ სიმონიშვილის ციხიდან გათავისუფლების საკითხს სტალინს უკავშირებენ. მას ციხიდან მიუწერია წერილი ბელადისთვის. მოსკოვიდან შეტყობინება მოსულა, რამდენი ვარლამ სიმონიშვილია ოზურგეთში? — ერთიო და გაუთავისუფლებიათ. ეს ცნობა, ალბათ, სწორი უნდა იყოს. 1991 წელს გამოქვეყნდა გიზო ჭელიძის ერთი თავი მომავალი წიგნიდან, რომელიც სოფელ ძიმითში ჩატარებული ფოლკლორული ექსპედიციის მასალებზე აიგო; ვარლამ მასხულიას უამბია მკვლევარისთვის, მეზობელთან ვანშამ-

ზე საგალობლების შესრულებისთვის როგორ დაუბეზღებიათ და ჩეკაში დაუბარებიათ. მასხულიას დიდჩინოსანთან მეორე მეზობელი ივაკი ხარატი გამოსარჩლებია:

„— მაგ გალობა ვარლამ მასხულიამ სოჭში თქვა, სტალინმა ბანი უთხრა, ბანი, იცი შენ?!“

— სტალინმა მართლა მოისმინა შენი სიმღერები? — უკითხავს ჩინოსანს მასხულიასათვის.

— ჰო, სოჭში ისვენებდა და მაშინ მოისმინა, აი, თქვენ რომ დგახართ, ამდენზე იდგა ჩემგან. როცა ვაიგო, გურულები მღერიანო, მოვიდა, დაგვიდგა თავში. მე რომ შემხედდა, თქვა: სკამზე შეაყენეთ აგი საცოდავი, თვარა არ ჩანსო, აგყვავა სიმღერაზე. ვარლამ სიმონიშვილმა „ვაი დილა“ წამოიწყო. სტალინმა გაუსწორა: „ვაი დილა“ კი არა, „აი დილაო“. გაკუჭდა (კუთხ. გაბრაზდა.) ამაზე ვარლამი. აღარ გააგრძელა სიმღერა. მარა სტალინმა რომ წამოიწყო, რაღას იზამდა. არ იკადრა შესწორება ვარლამმა“. (გაზ. „წიგნის სამყარო“. 1991 წ. 10 ივლისი).

ვარლამ მასხულია ჩეკადან გაათავისუფლეს. სტალინთან სოჭში შეხვედრას ვარლამ სიმონიშვილიც გადაურჩენია.

ვარლამ სიმონიშვილის არქივი მწირ მასალებს შეიცავს და სხვადასხვა მუზეუმების ფონდებშია დაცული. სოფელ შემოქმედში, სადაც იგი 1884 წელს დაიბადა (ფატარი — ამ სოფლის ერთი უბანია), მისი დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით გაიხსნა ვარლამ სიმონიშვილის სახლ-მუზეუმი. მოგვიანებით, ცნობილი არეულობის წლებში, მუზეუმის ექსპონატები დაიკარგა და განადგურდა, ეზო-მიდამო გავერანდა... 1997 წელს ბატონმა ჯემალ ჭკუასელმა გამაცნო თავისი მოსაზრება (მაშინ გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დემურ შაოხი) ვარლამ სიმონიშვილის მუზეუმის აღდგენასთან დაკავშირებით. მხარდაჭერა პრაქტიკულ საქმედ იქცა. თუმცა, სჯობს თავად ინიციატორს მოვუსმინოთ: „1997 წელს, ჩვენი მონდომებით, მეგობრების — გურამ ბურჭულაძის, ოთარ გეგიაძის, ნიკოლოზ ბურჭულაძის, რენო ურუშაძის, ია სურგულაძის, ხელისუფლების ხელშეწყობით შემოქმედში აღვადგინეთ ვარლამ სიმონიშვილის სახლ-მუზეუმი. ტრისტან სიხარულიძემ ბავშვებიც შეაგ-



როვა და იქ რეპეტიციებიც ჩაატარა“. („ოზურგეთის გაზეთი“, 2001 წ.). ახლა საქმე ისევ შუა გზაზეა გაჩერებული, სახლ-მუზეუმი კვლავ ელის მზრუნველ ხელს.

ვარლამ სიმონიშვილის
სახლი სოფ. შაჰოქიაძის

ამ ბოლო დროს, ჩვენ ვიმუშავეთ წიგნზე: „XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა“ (საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. თბ. 2005). უამრავ საყურადღებო საარქივო მასალას შორის ჩვენი ყურადღება მიიქცია ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ფონდში დაცულმა ვარლამ სიმონიშვილის ხელნაწერმა – „გურიის სიმღერების წარმოშობა“. მისი ფრაგმენტი გამოვაქვეყნეთ კიდევ ზემოთ დასახელებულ წიგნში, რითაც გარკვეულად შევავსეთ ჩვენი თხრობა შემოქმედის სამგალობლო სკოლის წარმომადგენლების შესახებ.

ამჯერად ამ ხელნაწერს სრულად გთავაზობთ.

ხელნაწერზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგი უშუალოდ არა ვარლამ სიმონიშვილის მიერ, არამედ მისი კარნახით უნდა იყოს ჩაწერილი. აქა-იქ ჩასწორებები შეინიშნება, მიწერილია ზოგიერთი ტექსტის ავტორიც. ეს ჩასწორებები და მინაწერები, ალბათ, თავად ვარლამს

ეკუთვნის. ხელნაწერის სტილსა და ორთოგრაფიას XIX საუკუნის ენობრივი ნორმების გავლენა ეტყობა. ზოგჯერ აზრი მკაფიოდ არაა გამართული. ასეთი ადგილები აღვადგინეთ და კვადრატულ ფრჩხილებში ჩავსვით. სხვა არსებითი ჩარევებისგან თავი შევიკავეთ.

ხელნაწერს ბოლოში დართული აქვს ტექსტები, რომელთაგან ზოგი ხალხურია, ზოგსაც ავტორი ჰყავს, მათ შორის თავად ვარლამ სიმონიშვილიც. ისინი, ალბათ მოტანილია იმის გამო, რომ მათი მუსიკა უმეტესად მისი დამუშავებულია (შდრ. ხელნაწერის ბოლოში მის მიერ დამუშავებული გურული სიმღერების სია). ხელნაწერიდან უმეტესად ამოვიღეთ ისეთი ტექსტები, რომლებიც მიძღვნილია საბჭოთა ხელისუფლებისა და ბელადებისადმი, რადგან მათ საერთო არც ხალხურ შემოქმედებასთან აქვთ რამე და არც ვარლამ სიმონიშვილის მრწამსს გამოხატავენ, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

საჭიროდ მივიჩინეთ ზოგიერთი საკითხის კომენტირება, დიალექტიკური მასალის განმარტება, რაც ტექსტს თან მიყვება.

ვარლამ სიმონიშვილის ეს ხელნაწერი ცნობილი გურული მგალობლებისა და შემოქმედის სამგალობლო სკოლის ტრადიციების შესახებ მეტად საყურადღებო მასალებს შეიცავს; აქვე მოცემულია გურული მუსიკალური ფოლკლორის კვლევისათვის საიტერესო ცნობები. საგულისხმოა, რომ ასეთი ჩანაწერები (გურული სიმღერების შექმნისა და მათი დანიშნულების შესახებ) თითქმის ყველა დიდ გურულ მომღერალს ჰქონია. არტემ, ანანია და ვლადიმერ ერქომაიშვილების არქივიდან ასეთი მასალები 2004 წელს გამოაქვეყნა კიდევ ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრმა.

იმედია, მუსიკათმცოდნეები და ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველი მოგვიტევენ უნებლიე შეცდომებს. ყველა რჩევასა და შენიშვნას სიამოვნებით გავითვალისწინებთ. ჩვენთვის სასიამოვნო იქნება, თუ ეს ტექსტი გურული ხალხური სიმღერის მომავალ მკვლევარებს თუნდაც მცირე დახმარებას გაუწევს.

ილია თავბერიძე

ვარლამ სიმონიშვილი

გურიის სიმღერების ნარკოზობა




ანტონ დუმბაძის¹ გადმოცემით, გურიაში, მეცხრამეტე საუკუნის პირველ დასაწყისში [სიმღერებს] თავთავისი კუთხური განხრა ჰქონდა; მაგალითად, ერთი და იგივე სიმღერა სხვადასხვა თემებში სხვადასხვანაირად სრულდებოდა.

იმ დროს გურულები მეტადრე უმღეროდნენ სხვადასხვა ოჯახისებურ მოთხოვნილებებს და საჭიროებებს. მაგალითად:

- 1. ყანური ნადური** — სიმინდის თოხნის დროს.
- 2. აგიდელა გადმოიარე** — ყურძნის კრეფის დროს.
- 3. ესა ელესა** — ტყიდან საწნახლის გამოტანის, ანდა ტყიდან რომელიმე დიდი ტვირთის გამოტანის დროს, ან კიდევ დიდ მდინარეზე ხიდის გადების დროს.
- 4. აგუნა, აგუნა გადმოიარე** — აგიდელას გაგრძელება არის, ყურძნის საწნახლის ცულის ყუთით მოშინჯვა კალანდა² საღამოს, მეზობლების ყრილობა და ჩამორება კუთხურ უბანში. აგუნა არის ყურძნის საწნახლის გამომგონებელი პირველად.
- 5. კალოს ხელხვავები** — სიმინდის რჩევის დროს, წმინდა გრიგოლ მობრძანდება, მიქელა და გაბრიელა და სხვა.

1. ანტონ დუმბაძე (1824-1907) — ცნობილი გურული მგალობელი. გურიის მილიციის (სახალხო რაზმის) ასეულის მეთაური. რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის მონაწილე. 1893 წელს ოზურგეთში ფილიმონ ქორიძემ, მისგან ნოტებზე ჩაიწერა საეკლესიო საგალობლები. გურიის ეპისკოპოსი გაბრიელი წერდა: „იგია უფროსი ყველა მგალობლებშიდ გურიის ეპარხისია“. მის ნიჭიერ მოსწავლეთაგან აღსანიშნავია ცნობილი მგალობელი მელქისედეკ ნაკაშიძე, მღვდელი ნესტორ კონტრიძე, სვიმონ მოლარიშვილი. ათონის მთის იოანე ღვთისმეტყველის ქართველთა საგანის აღმამენებლის, სქემ-მონაზონ ბენედიქტეს (ბარკალაია) თხოვნით, ათონის მთისთვის ცხრა მგალობელი მოუმზადებია. გადმოცემით დაკრძალულია შემოქმედის მონასტრის ეზოში.

2. კალანდა — ახალი წელი გურიაში. ახლა აღინიშნება 14 იანვარს.



6. ბურთის თამაშობის კულაშური და გატანის იერიშები.
7. მხედრული ფეხოსნური — რაშორერა.
8. აბადელიე-ვოდელია მაცრულად.
9. დასტურ ჟამიერ და სხვა; ამით ამოიწურებოდა გურიის სიმღერები იმ დროს. გურულებს ჰქონდათ ორპირი სიმღერებისათვის — გამყვიანი.

რაც შეეხება განვითარებული კრინტის მანჭვა[ს] — კრიმანჭული არ არსებობდა.

ყანური ნადური გურიაში ყველა თემში ჰქონდათ გლეხებს თავთავისებურად. მაგალითად, I. შემოქმედური; II. საჯაოხური; III. გურიანთული; IV. ჩოჩხათური; V. აკეთური და სხვა. ჩვენ ახლო მეზობლებსაც ჰქონდათ, ქობულეთლებს, ნადური, რომელიც გურიანთულ ნადურს ჩამოჰგავდა. ეს იმის გავლენით იყო, რომ გურიანთლებს და ქობულეთლებს ახლო-მახლო ჰქონდათ ყანები ერთიმეორესთან, გაღმა-გამოღმა, შუაზე მდინარე ჩოლოქი ჰყოფდა. ამიტომ, მათი მუშაობაც და სიმღერაც ერთი-მეორეს ჰგავდა. როგორც გადმოგვცემენ ძველები, დიდი ნადის შემადგენლობისათვის თავის შესაყარად უფრო ხელსაყრელი იყო შემოქმედური და საჯაოხური ნადურები. როცა ამ ბოლო ხანებში ნადური მიეცა დავინყებას და ახალგაზრდობა სხვადასხვა იოლ სიმღერებს დაენაფა, ამ საქმეს უნდოდა დიდი შველა და მე ვიკისრე ეს დიდი საქმე. შევისწავლე ძველებიდან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კუთხის ნადურები. გამოვაცალე მათ საუკეთესო მუხლები, შევაერთე და დღეს გურიაში არსებობს ერთადერთი ყველა გურიის კუთხური მუხლებიდან სხვადასხვა ვარიანტებით ერთი ნადური.

კალოს ხელ-ხვაკები — არის გამოთქმული გურიანთაში; ძველი ოზურგეთის ქალაქიდან გურულები ჯემკილვანამდე და უნაგირამდე გურიანთას

ეძახთენ; შემდეგ როცა რკინის გზა გამოვიდა ბათომში თბილისიდან, გადაეთქვა სახელი. ჯეშკილვანის მაგივრად დაეთქვა ნატანები — მდინარის სახელი და უნაგირას მაგივრად სუფსა დიდი მდინარის სახელი, რადგანაც ეს ორი დიდი მდინარე ახლოს იყვნენ ჯეშკილვანთან და უნაგირასთან.

იმ ძველ დიდ გურიანთაში სიმინდის და ლომის მდიდარი მოსავალი იყო. ყველა დასავლეთ და ნაწილობრივ აღმოსავლეთ გურიის გლეხობას გურიანთაში ჰქონდათ ყანები და კალოს ხელხვავეები იქ გამოითქვა:

„წმინდა გრიგოლ მობრძანდება
ჩვენს კალოზე დაბრძანდება
ხვავს დატიებს, წაბრძანდება
და ისევე მობრძანდება“.

როგორც გადმოგვცემენ, იმ დიდ გურიანთაში, სოფელ კონჭკათში იყო ორი ძმები მიქელა და გაბრიელა, გვარად ტულუმები, რომლებსაც კალოს რჩევის დროს პატიჟებდნენ მეხვავედ; არის მათზე თქმულება: „მიქელამ და გაბრიელამ კალო გაგვიხვავრიელა“. სიმლერა დიდათ განვითარებულია ზემო გურიაში ჯაყელებში, სიხარულიძეებში და კოროშინაძეებში.

ელესა — წარმოადგენს სიმლერას ჭვირთის³ ანდა ასე ვთქვათ, რომელიმე დიდი უზარმაზარი ხის გამოტანისას ტყიდან. ეს სიმლერა წარმოიშვა სოფელ აკეთში.⁴ იქ ცხოვრობდა ერთი პატიოსანი, თავმდაბალი მოხუცი ქალი ელენე შალიკაშვილი, რომელსაც დიდ პატივს სცემდა აკეთის გლეხკაცობა. ელენეს ბევრი კარგი ჩხავრის ღვინო მოსდიოდა და ხშირადაც გლეხობა მასთან პურ-მარილობდნენ. ელენემ ერთ დღეს სთხოვა გლეხობას, რომ მისთვის ყურძნის საწნახელი გაეთაღენ და მიეტანენ მისთვის. ეს შეუსრულეს

3. **ჭვირთი** — კუთხ. ტვირთი

4. **აკეთი** — სოფელი ლანჩხუთის რაიონში

5. **წირები** — დაგრებილი წნელი.

ელენეს; შეიყარა თავი გლეხობამ (ნადი), წავიდნენ იქ ახლო სოფელ სამების ტყეში, გაუკეთეს სანწახელი, გაამზადეს წირებების⁵ თოკები და მონინეს ხე, როცა მოათრევდენ — [მლეროდნენ] „ესა ელესა“. ე.ი. მათი სიმღერ[ით] გამოიხატებოდა: ეს სანწახელი ელენეს არის. მიუტანეს სახლში. ელენეს იმ დროს ჰყავდა მოჯამაგირე ლაზი მუსლიმანი — მუსტაფი, რომელმაც დაისწავლა ეს ელესა და როცა დაბრუნდა სამშობლო ქანეთში — რიზაში, მუსტაფამაც გამოიყენა ეს სიმღერა, მანაც დაასწავლა იქაურ მის მეზობლებს, მეტევზეებს და როცა ნავს მოაყენებდნენ ზღვის ან მდინარის ნაპირას თევზით დატვირთულს (ნავი უნდა მიეტანათ ნაპირზე), ისინიც მონინვის დროს იმღეროდნენ ესა და იოსა ელესა. ამ სიმღერას დღესაც მღერიან გურიაში.

აგიდელა — გურიაში მღერიან ხეზე ყურძნის კრეფის დროს:

6. **ყაჭი** — კუთხ. აბრეშუმის ჭია

აგიდელა გადმოიარეო
ბახვი და ასკანა გადმოიტანეო;
ნაგომარი, ბასილეთი, აკეთი და ხიდისთავი.
ჩვენ ქალებს ყაჭი⁶ და აბრეშუმი,
სხვის ქალებს ტახი და ვირისთავი,
აგიდელა ხოხო — ხოხო, ვიო იიჰ
კუმპალ⁷ -კუმპალ-გულოშ-გულოშ.

7. **კუმპალი** — კუთხ. ყურძნის მტევნის ნაწილი.

ფეხოსნური — ეს სამხედრო სამგზავრო სიმღერაა, — რაშორერა რომელიც მარტო გურულებს აქვთ გამყივანით და კრიმანჭულით. რაშორერა არის, ძველებურად რომ ვთქვათ, თოფის სახელი გურულების მაჭახელას⁸ სახით; საქართველოში გურულები უფრო მეტად განიცდიდნენ ომს, რადგანაც ოსმალების საზღვარზე ახლოს იყვნენ. ეს სიმღერა, რაშორერა გამოთქმულია თოფის სახით — შეკვეთილის ომზე.

8. **მაჭახელა** — კუთხ. კა-ფიანი თოფი.

როგორც გადმოგვცემენ ძველები, ერთი ახალ-გაზრდა გურული თავადი არსენ თავდგირიძე,⁹ გაამპარტავნდა, გათათრდა, გაუსინდისდა და ოს-მალეთში (ტრაპიზონში) გადავიდა, რომელსაც თათრის ფაშობა უბოძეს; მას გაავინყცა ასეთი დიდი კაცობით სამშობლო — გურია, დარაზმა თათრის ჯარი და წამოვიდა გურულების ამოსაყლელტად შეკვეთილის მიმართულებით. იმ დროს შეიკრიბა გურულები თავისი მაჭახელებით, შემოსახეს რაშორერა, დახვთენ შეკვეთილში; თავდგირიძე თათრის ჯარით ლანჩხუთამდე ავიდა ბრძოლით; გურულებმა დაიხიეს უკან და ჩაუსაფრთენ შუხუთის ფერდში; იქ მოხდა დიდი ბრძოლა, თავდგირიძეს გაუნყვიტეს მთლიანად თათრის ჯარი: „მთხრობლად არ გაეშვენ ერთი“. ამაზეა აგებული სიმღერა „ხასანბეგურა“ — არსენ თავდგირიძე იქნა მონათლული ხასან-ბეგის სახელით, მგალობელ გოგიტიძის¹⁰ მიერ, სამახსოვროდ, მოლალატის სახით:

ხასანბეგი თავდგირიძე,
 გარისხული ხვთისგან ერთი,
 თათრის ფაშობა არჩია,
 სულ მთლად გაავინყცა ღმერთი;
 შეკვეთილში ჩამოვიდა
 იძახობა ვოლან ქეთი¹¹
 ლანჩხუთამდე თუ მოვიდა,
 მაშინ ჩვენ გვიყუროს ერთი,
 ჩვენ გახლავართ გურულები,
 დავამარცხეთ შუხუთს¹² ფერდში
 ჯარი სულ თლად გაუნყვიტეთ,
 მთხრობლად არ წასულა ერთი.

ძველი აბადელიე — ეს მაყრული არის, ფეხოსნურადაც ხმარობენ. კოსტანტინე თავდგირიძის გაკეთებულია გამყვივანით სოფელ აკეთში.

9. არსენ თავდგირიძე — ცნობილია, რომ „ხასანბეგურა“ ხასან-ბეგი თავდგირიძისადმი მიძღვნილი. ბრძოლა მძებ თავდგირიძეებს შორის 1854 წელს მოხდა. ისინი აკეთლები იყვნენ. ერთი გათათრდა — წამოუძღვა მტრის ჯარს გურიაში და დამარცხდა სოფელ შუხუთში. ხასან-ბეგი ბრძოლაში დაიღუპა. ეს რომ მისმა ძმამ გაიგო, რომელიც ეომებოდა მას, მივიდა, უპატრონა და დაასაფლავა.

10. პროფ. იური სიხარულიძე სიმღერის ტექსტის ავტორად ყარამან თავდგირიძეს ასახელებს, რომელიც ხასან-ბეგის ბიძაშვილი იყო. „ხასანბეგურას“ დღეს გავრცელებული ტექსტი 1930-იანი წლების ფონო ჩანაწერების შემდეგ გვხვდება. ვარიანტებში ტექსტები მეტ-ნაკლებად იცვლება.



11. უმეტეს ვარიანტებში „ოლანგეთი“. თურქ: „ნაბი ბიჭო!“

12. **შუხუთი** — სოფელი ლანჩხუთის რაიონში

13. **ბახვი** — სოფელი ოზურგეთის რაიონში.

**გიორგი,
ანტონ და ღვთისმშობლის
ღვთაპატივების**

აგიდელა — ეს ღვინის მოსავლის კრეფის დროს წარმოშობილია სოფელ ბახვში,¹³ ბახუსი დოლიძის სამახსოვროდ. ბახუსი დოლიძე გურიაში ითვლებოდა მეღვინეთა უზუცესად. ბახვში გურიის სახით ყველაზე უკეთესი და დიდი ძალი ჩხავრის ღვინო მოდიოდა, რომელსაც ბახუსი დოლიძე ხელმძღვანელობდა და ეს სიმღერა აგიდელა იქ წარმოიშვა.



14. **იმერეთის ეპისკოპოსი ექვთიმე (წულუკიძე)** — 1844-1853 წლებში განაგებდა გურიის ეპარქიას.

15. **გურიის ეპისკოპოსი გაბრიელი (ტუსკია)** — გურიის ეპისკოპოსი 1859-1881 წლებში.

16. **იმერეთის ეპისკოპოსად გადაყვანამდე ყოველწლიურად ექვთიმე ცხრა წლის მანძილზე განაგებდა გურიის ეპარქიას (1844-1853).** ის კარგად იცნობდა გურიის საეკლესიო ცხოვრებას, მათ შორის მგალობლებსა და სამგალობლო სკოლას. მგალობელ ცქვიტიშვილების შესახებ ცნობები

ჩემს მასწავლებელ ანტონ დუმბაძის გადმოცემით, როცა მასთან ვსწავლობდი შვიდი წლის განმავლობაში, სწავლის დროს კიდევაც მესაუბრებოდა და მიხსნიდა ყოველი გურიის წარსულ ამბებს და როგორც მოხუცი თავსაც იქცევდა ჩემთან საუბარში. მე შევეკითხე მასწავლებელს, თუ სად ისწავლა მან ეს უთვალავი საგალობლები და სიმღერები; მან ასე მიპასუხა: გელათის მონასტრის (იმერეთის) ეპისკოპოსმა ექვთიმემ¹⁴, რადგანაც კარგ განწყობილებაში იყო გურიის ეპისკოპოსს გაბრიელ ტუსკიასთან,¹⁵ გამოუგზავნა საჩუქრად გაბრიელ ეპისკოპოსს მგალობლები სამი ძმები ცქვიტიშვილები; გურიის საეპისკოპოსო იყო შუა გურიაში დაბა ნაგომარში; ცქვიტიშვილები:¹⁶ ივანე, მერაბი და ნესტორი გამოეცხადენ გაბრიელს საეპისკოპოსო საკრებუ-

ლოში. გაბრიელმა მისცა განკარგულება და იქ ახლო სოფელ აკეთში მათ მიუჩინა: სამოსახლო, ბინები. ეს იყო XIX საუკუნის ბოლო ნახევარ წლებში.

იმ დროს სოფელ შემოქმედის მონასტერში ცხოვრობდა ერთი ქვრივი მღვდელი გიორგი დუმბაძე,¹⁷ რომელიც უპატრონო ახალგაზრდებს ზრდიდა, ცოტა გალობასაც ასწავლიდა და მუშაობას მცირე მოცულობით. ის გიორგი დუმბაძე იმ დროს პატიოსანი ქველმოქმედი იყო. როცა შეიტყო გ. დუმბაძემ საეპისკოპოსოში, გაბრიელთან ცქვიტიშვილები არის ჩამოსულიო, იმ დღიდანვე გაეზავნა მისი ნათესავი, ნიჭიერი ახალგაზრდა ანტონ დუმბაძე და მისი მონათლული მაქსიმე ჩხატარაიშვილი¹⁸ ხუთი წლის ვადით, საგალობლების სასწავლათ; სამაგიეროდ გიორგი დუმბაძე დაპირდა ცქვიტიშვილებს – ნაშრომში ყოველ წლობით გაეგზავნა მათი საყოფი ჩხავრის ღვინო; იმ დროს შემოქმედში და მეტადრე მონასტერში დიდ-ძალი ჩხავრის ღვინო მოდიოდა. პატარა ანტონმა და მაქსიმელმა დაჰყო ცქვიტიშვილებთან ხუთი წელი და სრული ცოდნით დაუბრუნდნენ გიორგი დუმბაძეს. იმ საუკუნეებში ნაგომარში ცხოვრობდა თავადი გუგუნავები, მათ შორის იყო ერთი ახალგაზრდა ნიჭიერი თავადი დათა გუგუნავა,¹⁹ რომელიც პატარა ანტონთან და მაქსიმელთან ერთად ცქვიტიშვილებთან სწავლობდა ჭრელ საგალობლებს. დათა გუგუნავა ქე დარჩა თავის სასახლეში – ნაგომარზე. პატარა ხანში დ. გუგუნავამაც აიყვანა მონაფეები, ვარგებული ახალგაზრდობა, როგორც თავად – აზნაურების შვილები, ისე ვარგისიანი გლეხობაც.

ჭრელი საგალობლები და პირველხარისხოვანი სიმღერები იმ დროს განვითარებული იყო თავად – აზნაურობაში და საეპისკოპოსო საკრებულოში, რომლებსაც არავითარი საერთო არ ჰქონ-

არ გვაქვს. ეს გვარი გური-აში ფართოდაა გავრცელებული. იმერეთის ეპისკოპოსი ექვთიმე და გურიის ეპარქიის მმართველი ყოვლადსამღვდელო გაბრიელი სულიერი ძმები იყვნენ. მით უფრო, რომ ეპისკოპოსად კურთხევამდე ეს უკანასკნელი გელათის მონასტრის არქიმანდრიტი გახლდათ. საფიქრებელია, რომ თავის სულიერ ძმას საეკლესიო ცხოვრების გაძლიერებისათვის გამოუგზავნა მგალობლები, რომლებმაც კარგად იცოდნენ გურული კილო გალობისა. საუკეთესო მგალობლის ცქვიტიშვილის თაობაზე ინფორმაციას გვანვდის რაჟდენ ხუნდაძე, მღვდელი და ცნობილი მგალობელი. 1911 წ. ერთ-ერთი სამგალობლო კრებულის წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავს, რომ: „გალობის გავარგებება (ხმის ტრიალი) შემოიღეს გურიის უკანასკნელი მთავრის მამიას დროს, გურიაში. ამ დროიდან ნელ-ნელა გავრცელდა იმერეთისა და მეგრელების ეპარქიებშიც... მთავრის დროს იყვნენ საუკეთესო მგალობლები: იოანე ცქვიტიშვილი და მგალობელი ანთაძე (ნიკოლოზ); მთავრის გუნდს ანთაძე ლოტბარობდა და დედოფლისას ცქვიტიშვილი“.

17. მღვდელი გიორგი დუმბაძე (1788-1883) — შემოქმედის მონასტრის მღვდელი, მგალობელი. მას საღმრთო წერილი, გალობა და მედავითნეობა 300-მდე კაცისთვის უსწავლესია.

18. მაქსიმე ჩხატარაიშვილი — უჩხობის (ოზურგეთის მახრა) წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდელი. გა-





გურულ-აჭარელ
მომღერალთა გუნდი.
1920-იანი წლები.
ცენტრში გუნდის
ხელმძღვანელი ვარლამ
სიმონიშვილი

ლობდა ოზურგეთის საკათედრო ტაძარში. 1878 წელს, თბილისში საგალობლების ნოტებზე გადასატანად მ. ნაკაშიძესთან, ნ. კონტრიძესთან და ი. ხვეთასთან ერთად გალობდა. გარდაიცვალა 1885 წელს.

19. დათა გუგუნავა (1805-1885) — „თამარიანის“ ავტორის სვიმონ გუგუნავას მამა. დასავლეთ საქართველოში იმ დროს მომხდარი ყველა ომისა და გურიის 1841 წლის აჯანყების მონაწილე. რამდენიმე შესანიშნავი ლექსის ავტორი; მათ შორის ცნობილი „შავი შავი ჩიოდაო“-ს ტექსტისაც. ამ სიმღერის მელოდიასაც მას მიაწერენ. „ზედმინეწით იცოდა ეკლესიური გალობები და ხალხური სიმღერები გურულის კილოზე“ („დროება“, 1885 წ. N 192).



20. სამუელ ჩავლეიშვილი (1857-1932) — ცნობილი გურული მომღერალი, „გურიის ბულბულად“ წოდებული, ლოტბარი. 1927 წლის 16 მაისს რუსთაველის თეატრში მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაუხადეს.

21. ტევან დიდი, — მტევან დიდი. გურული ვაზის ჯიშო.

დათ გლეხობასთან; გლეხობას თავისი საკუთარი სიმღერები ჰქონდათ... ისიც მცირე რაოდენობით. დათა გუგუნავაც ეძებდა ვარგისიან ახალგაზრდებს, ეს გლეხი იქნებოდა, აზნაური თუ თავადი, ის წოდებას არ ეძებდა და ასწავლიდა პირველხარისხოვან სიმღერებს და ჭრელ საგალობლებს (ძლისპირებს). ეს ცქვიტიშვილებთან ნასწავლი ჭრელი საგალობლები დ. გუგუნავამ გამოიყენა ხალხური განხვრით, სუფრაზე მოსალხენ სიმღერებად. საამისოდ მაგალობლები ცქვიტიშვილები ხელს უწყობდნენ დათა გუგუნავას, რადგანაც იქ ახლო იყო საეპისკოპოსო საკრებულო.

როგორც გადმომცა მაგალობელმა ანტონ დუმბაძემ, დათა გუგუნავას მიერ შეთხზულია შემდეგი სიმღერები, ცქვიტიშვილების დახმარებით: 1. შავი შავი; 2. გრძელი ლილინი; 3. სუფრის ხელხვავი; 4. კრებულის მრავალჟამიერ (8) მუხლი სხვადასხვა; 5. ჭრელი საგალობელი (3) სამი სხვადასხვა; 6. მიყვარს ამგვარი „სტოლი“ გაშლილი; 7. პატარა საყვარელო; 8. ვახტანგური შვიდი კაცი; 9. კვატიტო და ფირუზი ბეგის ქალიშვილები და სხვა.

ამ ბოლო საუკუნეების ნახევარში გურიაში, სოფელ ბაღდადში, ცხოვრობდა თავადი სამუელ მაქსიმელიშვილი, რომელსაც უყვარდა სიმღერები და ჭრელი სძილისპირები. მთელ მის ქონებას ახარჯავდა მომღერლებს, მისთვის სულერთი იყო გლეხი, აზნაური, თავადი. თუ ის კარგად მღეროდა და კარგი ხმა ჰქონდა, წოდებას არ უყურებდა. როდესაც ს. მაქსიმელიშვილმა გაიგო გუგუნავა ახალგაზრდებს ასწავლის პირველხარისხოვან სიმღერებს და ჭრელ სძილისპირებსო, დ. გუგუნავას გაუგზავნა მისი მახლობელი ახალგაზრდა ნიჭიერი გლეხის შვილი სამუელ ჩავლეიშვილი.²⁰ სამაგიეროდ დაპირდა დ. გუგუნავას ტევან – დიდის²¹ ღვიწვი; გუგუნავას მამულში იმ დროს ღვინის მოსავალი

ნაკლები იყო და სამუელ მაქსიმელიშვილს ბევრი მოსდიოდა. განსაკუთრებით კარგი ღვინის მოსავალი იყო იმ დროს შემოქმედში, ბახვში და ლეხაურში.

პატარა სამუელ ჩავლეიშვილი დათა გუგუნავასთან დარჩა ერთი წელი, რომელმაც შეისწავლა ნაწილობრივად სიმღერები და მოსალხენი სძილისპირები, იქიდან კი დაბრუნდა სამუელ მაქსიმელიშვილისას.

როცა დ. გუგუნავა გარდაიცვალა, გურიის მომღერლების შესაკრებელი გახდა ს. მაქსიმელიშვილის სასახლე და მთელი გურიის განთქმული მომღერლები თავს იყრიდნენ სამუელ მაქსიმელიშვილისას.

... ცქვიტიშვილებმა გაუზარდა გურიას ანტონ დუმბაძე, მაქსიმელ ჩხატარაიშვილი და დათა გუგუნავა, რომლებმაც ასწავლეს გურიის ახალგაზრდობა[ს] და იმერეთსაც დაუბრუნეს გავარჯიშებული სუფრის სალხინო სიმღერები. ეს მეც კარგად მახსოვს; ამ ბოლო ხანებში იმერლებიც გზავნიდნენ ახალგაზრდებს სიმღერა-გალობის სასწავლათა. დუმბაძესთან ხუთ წლობით. ანტონ დუმბაძეს დიდი კავშირი ჰქონდა სამეგრელოს მგალობლებთან; როცა ახალ მისული ვიყავი ა. დუმბაძესთან მონაფედ, მახსოვს ესტუმრნენ ჩემს მასწავლებელ ანტონ დუმბაძეს სამეგრელოდან ცნობილი მგალობ[ლები] (აღდგომის დღესასწაულის მეორე დღეს): 1. დიტო ჭალაგანიძე,²² 2. თეიმურაზ გეგეჭკორი და 3. ვახაკია ჩიქოვანი, რომლებიც ახალკვირამდე დარჩნენ და ილხინეს აღდგომის სხვადასხვა საგალობლები, აღდგომის სძლისპირები; ჭრელი საგალობლები შესდგებოდა 350 მუხლებისაგან. ჭალაგანიძე, გეგეჭკორი და ჩიქოვანი, როგორც ჩემმა მასწავლებელმა გადმომცა, ჭყონდიდში გაზრდილი იყვნენ; (ჭყონ-დიდი მარტვილის მონასტერი სამეგრელოში). ხოლო მათი გამზრდელი ვინ იყო, ის გამომრჩა შეკითხვიდან. რაც შეეხება ან-



22. დიმიტრი ჭალაგანიძე (1818-1917) — ქართული გალობის საუკეთესო მცოდნე. დიმიტრის ბაბუის მამა მარტვილის მონასტერში დასახლებულა. დიმიტრიც აქ გალობდა თეიმურაზ გეგეჭკორთან და ვახაკია ჩიქოვანთან ერთად. მისი სახელოვანი მოსწავლე იყო რაჭდენ ხუნდაძე.

ტონ დუმბაძეზე რომ ვთქვათ, ძნელია მისი მონაფეების აღრიცხვა: გურიაში, იმერეთში და ნანჩილობრივად სამეგრელოშიც ხუთიათას კაცამდე მაინც ეყოლება გაზრდილი... გურიაში ანტონ დუმბაძის გაზრდილები იყვნენ XIX საუკუნის მეორე ნახევარში შემდეგი პირები, რომლებიც ითვლებოდნენ ცნობილ მგალობლებად და მომღერლებად: 1. რაჟდენ ხუნდაძე; 2. მელქისედეკ ნაკაშიძე; 3. ნანე ხავთასი; 4. ნესტორ კონტრიძე; 5. ანტონ კალანდაძე; 6. სიმონ შარაშიძე; 7. ნესტორ კილურაძე; 8. ლავრენტი კვირკველია; 9. სიმონ მოლარიშვილი; 10. თავისი შვილი დავით დუმბაძე. XIX საუკუნის ბოლო ნახევარ წლებში მარტოდ ვარლამ სიმონიშვილი. გარდა გურიისა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან – იმერეთიდან და სამეგრელოდან უთვალავი, რომლის აღრიცხვა ძნელია; ზოგიერთები კი მცირე ცოდნით გაზრდილები ყავს ა. დუმბაძეს. ძველ ცნობილ მგალობელ ანტონ დუმბაძის ცოდნის პროგრამაში შედიოდა სამი ათას შვიდას ორმოცდაათი საგალობელი, რომელსაც ეწოდებოდა რვა ხმა 12 საუფლოს შემადგენლობით, სხვადასხვა წიგნების მიხედვით.

წიგნების სახელები:

- 1.** პირველი წიგნის პირველი დასაწყისი ჟამნი, რვა ხმა;
- 2.** პარაკლიტონი პირველი დასაწყისი ჟამნი, რვა ხმა;
- 3.** ინდიქტიონი 12 საუფლოს, უფალ ღალად ყავსა ზედა;

დასდებლები:

- 4.** სტიქარონსა ზედა დასდებლები;
- 5.** ანტიფონები;
- 6.** ტროპარ-კონდაკები;
- 7.** იკოსი, იპაკო და სვინაქსარები;


ნიგნები:

8. ნიგნი მარხვანი იწყება მეზვერე ფარისევლის კვირიაკის შემდეგ;
9. ნიგნი კურთხევანი;
10. ზადიკი პასექი.

ეს საგალობლები ყველა გაერთიანებული იყო გულანში²³. ნიგნი გულანი არსებობდა შემოქმედის მონასტერში. სხვათა შორის, სიმღერა –გალობის საქმეებზე დიდად მოღვაწეობდა მღვდელი ნესტორ კონტრიძე და რაჟდენ ხუნდაძე. რაჟდენ ხუნდაძემ, ანტონ დუმბაძის მონაფეობის შემდეგ, შეისწავლა ნოტები და ბევრი მნიშვნელოვანი საგალობლები ჩასწერა, ხოლო ის არ ვიცი სად ინახება...

1900 წელს, ქ. ოზურგეთში ჩამოვიდა იტალიიდან მუსიკოსი ფილიმონ ქორიძე²⁴, როცა მე ა. დუმბაძესთან ვამთავრებდი სიმღერა-გალობის სწავლას. ა. დუმბაძემ დამავალა მე და გამგზავნა ქ. ოზურგეთში ფილიმონ ქორიძესთან. ფ. ქორიძე იდგა ბინად ქალაქის მოედანზე გიორგი ფირცხალაიშვილის სახლში; მე მას საგალობლებს ვაწერივდი ნოტებზე. იმ დროს გალობა შეიძლებოდა სამი კაცისაგან; ხოლო სუფრის სიმღერები შვიდი კაცისაგან, გარდა ნადურისა... ამ დროს ფილიმონ ქორიძემ ქ. ოზურგეთში შექმნა თხუთმეტკაციანი საეკლესიო გუნდი და მე ძალიან გამიკვირდა; შევეკითხე – „ბატონო ფილიმონ, თხუთმეტი კაცისაგან თუ შეიძლებოდა ერთად გალობა და სიმღერა თქვა.“ მან მიპასუხა, ორასი კაცისაგანაც კი შეიძლება, მაგრამ კარგი დირიჟორი უნდაო. მე მაშინ არც დირიჟორი გამეგებოდა რა იყო, მაგრამ ფილიმონმა გამაცნო ყოველივე და კიდევაც შემასწავლა. ის ყოველნაირად ცდილობდა ჩემს განვითარებას. მე იმთავითვე შევუდექი გუნდების მზადებას და შევექმენი მთლიანი გუნდი. რომელსაც ფ. ქორიძემ დაათქვა ვ. სიმონიშვილის გურულ

23. გულანი – საეკლესიო კრებული, რომელშიც თავმოყრილია საღვთისმსახური ნიგნები. შემოქმედის გულანი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში.



24. ფილიმონ ქორიძე (1835-1911) – პირველი ქართველი პროფესიონალი მომღერალი (ბანი), პედაგოგი, ფოლკლორისტი, მღეროდა იტალიის „ლასკალას“ თეატრში. საფუძველი ჩაუყარა გალობისა და ხალხური სიმღერების ნოტებზე გადაღებას. დაკრძალულია ქ. ოზურგეთში.

მომღერალთა გუნდი, და ვმართავდი კონცერტებს. პირველი კონცერტი იქნა გაშვებული ქ. ოზურგეთში, სამხედრო თეატრში. სამოქალაქო თეატრი იმ დროს არ ყოფილა ოზურგეთში და სამხედრო თეატრსაც კლუბის სახელწოდება ჰქონდა.

1910 წ. გურიაში და სამეგრელოშიც გალობის მასწავლებლები აღარ დარჩენ ცოცხლები და თუ რომელიმე მათი ნაშთი დარჩა, ისიც მოხუცები იყვნენ. იმ დროს გურიაში მთლიანი გუნდი არავის არ ჰყავდა. მცოდნე მომღერლები ბევრი იყო, მაგრამ გუნდის არაფერი არ გაეგებოდენ. მარტო შვიდი კაცით შეიძლებოდა ყოველივე მოლხენები; საამისოდ არის სახელწოდება ერთ-ერთი სიმღერისა „შვიდკაცა“. მაგრამ, საერთოდ რომ ვთქვათ, გურული სიმღერები, ყველა, შვიდი კაცით სრულდებოდა, გარდა ნადურისა და იერიშებისა.

1910 წლის შემდეგ საქართველოში არსებობდა სამი მთლიანი გუნდი: ვარლამ სიმონიშვილის გურულ-აჭარული მომღერალთა გუნდი, მიხეილ კავსაძის²⁵ ქართლ-კახური მომღერალთა გუნდი და ძუკუ ლოლუას²⁶ მეგრულ-აფხაზური გუნდი. ბოლო ხანებში ამ სამი გუნდის დიდი მეგობარი იყო კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი,²⁷ რომელიც აშუქებდა და აძლიერებდა ამ გუნდების რეკლამებს. მეფის ხელისუფლების და მენშევიკების ბატონობის წლებში მომღერალთა გუნდებს საქართველოში არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. პირიქით მას აბუჩად იგდებდნენ და დასცინოდნენ. 1921 წელს, როცა საქართველოში საბჭოთა წყობილება დამყარდა, პირველი წლებიდანვე მიექცა განსაკუთრებული ყურადღება ხელოვნებას, განსაკუთრებით ეთნოგრაფიული გუნდების დაარსება-ჩამოყალიბებას. ყველა დიდ ქალაქებში დაყოფილ სამაზრო ცენტრებში შეიქმნა ეთნოგრაფიული სახელმწიფო გუნდები, სახელმწიფო ბიუჯეტებით, რომლის ხელმძღვანელებად დაინიშნენ


25. მიხეილ კავსაძე (1880-1961) — ცნობილი ლოტბარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. 1897 წელს წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) რჩევით შეადგინა გუნდი. 1911 წელს მას თავისი გუნდის ხელმძღვანელობა ა. კავსაძემაც გადასცა. მოღვაწეობდა გორში, კასპში, კინოსტუდიაში.

26. ძუკუ (პორფირი) ლოლუა (1887-1924) — ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი, ლოტბარი. მრავალი მეგრული სიმღერის გამომამზეურებელი. 1911 წლიდან მოღვაწეობდა სოხუმში. საფუძველი ჩაუყარა საგუნდო ხელოვნების განვითარებას აფხაზეთში. 1917 წელს პირველად გამოვიდა თბილისში. დიდად შუენყო ხელი მუსიკალური ფოლკლორის განვითარებას.

27. კოტე ფოცხვერაშვილი (1880-1959) — ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი, მუსიკათმცოდნე, საქართველოს სახალხო არტისტი. ავტორი საქართველოს ეროვნული ჰიმნისა „დიდება“.

ცნობილი სახალხო მომღერლები: ვარლამ სიმონიშვილი, რემა შელეგია,²⁸ კინი გეგეჭკორი,²⁹ ბათლომე კუხიანიძე,³⁰ აქესენტი მეგრელიძე,³¹ კირილე პაჭკორია³² და სხვები.

1921 წლამდე საქართველოს მომღერალ გუნდებს ძალიან მტკიცე კავშირი ჰქონდა ძუკუ ლოლუასთან და მიხეილ კავსაძესთან: იყო შემთხვევა, რომ ქ. თბილისში გაიმართა კონცერტი, პირველად ოპერის თეატრში, სადაც ქართლ-კახურ მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობდა მიხეილ კავსაძე, და გურულ-აჭარულ მომღერალთა გუნდს ვარლამ სიმონიშვილი.



28. რემა შელეგია (1883-1955) — ლოტბარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ხელმძღვანელობდა ეთნოგრაფიულ გუნდებს სენაკში, ხონში, ფოთსა და ზუგდიდში. 1939 წლიდან დასავლეთ საქართველოს გაეროიანებული გუნდის ხელმძღვანელი იყო.

29. კინი გეგეჭკორი (1886-1971) — ქართული ხალხური სიმღერების მოამბე, შემკრები და პოპულარიზატორი, ჩონგურის უბადლო ოსტატი. 1924 წელს სათავეში ჩაუდგა ძუკუ ლოლუას სახელობის გუნდს.

30. ბართლომე კუხიანიძე (1878-1956) — ხალხური სიმღერის მოამბე. ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

31. აქესენტი მეგრელიძე (1877-1953) — ქართველი ლოტბარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ჯერ დასავლეთ საქართველოში, შემდეგ კი — თბილისში. შეკრიბა და ჩაწერა მრავალი ხალხური (გურული) სიმღერა.

32. კირილე პაჭკორია (1888-1957) — ცნობილი ქართველი ლოტბარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ხელმძღვანელობდა ძუკუ ლოლუას სახელობის გუნდს 1925-1939 წლებში. 1940 წელს ფუძნდება საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, სადაც მოღვაწეობდა კირილე პაჭკორია.

ცნობილი მხალხოვანი:
მკვლეი
ნესტორ კონტრიძე,
მელქისედეკ ნაკაშიძე და
პარლან სიმონიშვილი

ქველი გურული ხალხური სიმღერების ტექსტები

შავი შაში¹

შავი შაში ჩიოდა, უხუცესი თავარი,²
ფთაი³დუუთონია, არსად არის სავალი!
ხეს სურო მეგულეობდა და მახენი მრავალი.
გადავთოლოდ⁴, გადვიაროთ, სული შეგვჩეს თავარი.
ძაღლებს კარგათ შუუაროთ; ეგეფ შეგვბთეს ნადირი,
ბიჭებო, ცოტა ვიჩქაროთ, დაგვიგვიანდა სადილი.
ძაღლებო, ფთხილად იყავით მუანია ნადირი.
შეუყეფე ჩემო მურავ, ევისრულოთ ნადილი:
ომ, ომ, ომ, ომ, ეცი, ეცი, აგერ მირბის ირემი.
გუუფთხილდით ბიჭებო, არსათ გაგკრათ ბრჩხილები.⁵

პატარა საყვარელო

„პატარა საყვარელო, რისთვის მომიკალ გული?
გალიაში გამოგზარდე, ვით მაისის ბულბული“.⁶
თუმც რომ გაქ სიყვარული და ხსოვნა ჩემზე ხშირი,
ათასჯერ გთხოვე, გაფიცე, ნურც სწუხარ, ნურცა სტირი.
წალკოტში დაყვავილდები, შენის ფიქრით ვთავდები,
სანერო და კალამო, რაფერ ამითავდები:
გწერო, გწერო, მუდამ გწერო, საყვარელთან ვთავდები,

1. „შავი შაში“ — დათა გუგუნავას ცნობილი სიმღერა. გადმოცემით, შვილის გარდაცვალების გამო მწუხარებაში მყოფი დათა გუგუნავა საკუთარი სახლის აივანზე იჯდა, ნაგომარში. ხეზე შემომჯდარა შაში და დაუწყია გალობა. დათას ყურადღება მიუქცევია მისთვის, ხმა აუყოლებია და ლექსიც შეუთხზავს.
2. თავარი — კუთხ. მთავარი.
3. ფთაი — კუთხ. მთა
4. გადავთოლოდ — კუთხ. თოვლი გადმოვყაროთ
5. არსებობს ამ ლექსის სხვა ვარიანტებიც. იხ. ი.მეგრელიძე. გუგუნავები. ბათ. 1987. ვ. კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია. ქუთ. 1934.
6. პირველი სტროფი აღებულია ა.წერეთლის ლექსიდან „იმერული სიმღერა“.

უშენოთ მე ვერ ვიცოცხლებ, ღმერთი იყოს თავდები.
არ წაგყობი მარტვილსა, არ წაგყობი საჩინოს,
ჩემი კეთილი ბუნება, ღმერთმა ნუ შეგარჩინოს
იმისთანა ვინ იქნება, გაჭამოს და გარჩინოს.

ვარლამ სიმონიშვილი

ფირუზი-კვატიტო⁷

მაღლიდან გადმომდგარიყო ფირუზი,
ფირუზ-ფანდურ-ფანდურასა კვატიტო.
ამოდი, ხელსა მიქნევდა ფირუზი.
ფირუზ-ფანდურ-ფანდურასა-კვატიტო
კვატიტო და გულის ვარდო, ჩემო ლამაზო.
ამოდი, ხელსა მიქნევდა ფირუზი,
ვეელ და გვერდსა ვეახელ კვატიტო,
არც მე უთხარი ვარია ფირუზი.
ფირუზ-ფანდურ-ფანდურასა-კვატიტო,
კვატიტო და გულის ვარდო, ჩემო ლამაზო.
გათენებულა, მალვიძებს ფირუზი,
ბოშო წაგებთა გვარია-კვატიტო
ფირუზ-ფანდურ-ფანდურასა-კვატიტო
კვატიტო და გულის ვარდო, ჩემო ლამაზო.

ხელსვაპი

(ოსმალეთზე ალი ფაშას მიერ ღალატი)

თათარი და რუსი ჩხუბობს, ისინია ორივე ელჩი
ალი ფაშამ გვიღალატა, ჩაგვიყვანა კვირიკეთრი
იმან ფულეები ეილო, ჩვენ ჩაგვყარა რუსის ხელჩი,
კაი არც მას დამართია, ბანრით ჩაითრიეს გემში,
მისი ყვირილი ისმოდა სუფსას გაღმა, ბაილეთში,
ღმერთო, ის დღე მომასწარი, ჭიხ[ვ]ინობდეს ოზურგეთში.

7. **კვატიტი** — კუთხ. იხვი. გადატან. „ჩაპუტკუნებულო“

ფერად შინდი

ვის გაქ ბაგე ფერად შინდი, თვალი შავი ინდი-მინდი,
გადმოხევი-გადმოჰყინდი, გამიქროლე თვალსა ბინდი.
გუუნია დრო იქინდი შენთვის სიკტილს არ შევშინდი.
უკვდავების წყაროთ მინდი, მოფართქალდი-მომიფრინდი.⁸

მივალ გურიაში მარა

მივალ გურიაში მარა,
სულმა წინ-წინ გეიპარა,
მივსდიე და არ დაბრუნდა,
არც მიიღო ქრთამათ ფარა.
ერთი ჩემი საყვარელი,
ამ ქვეყანას ვრჩები მარა
ადრინად გეახლები
არ მოვკტები, არა, არა.

ქალის პასუხი:

მწუხარეს გნახვიდე თვარა
ჩემს ქალობას გამოვაჩენ
მოკდი ერთი გამომცადე
იმით მიხთი რომ მოგარჩენ.

ლატარია გურული სამაია (ტრიო)

ოდეს გახსოვს საყვარელო
მე და შენ რომ ერთად ვრბოდით?
შენ მოსწყვიტე ქორფა ვარდი,
გადმომიგდე შენს საყვარელს
და მითხარი: „ჩემო გიჟო!

8. ვარიანტები იხ. ვ. კოტეტიშვილი. დასახ. წიგნი. გვ. 30, 323

ჩემს სახსოვრად გქონდეს ესა!⁹
ან იმ გიჟმა რა იცოდა,
რომ ეს ვარდი დასჭნებოდა;⁹
იმას აქეთ ჩემი გული
შენგან დამწვარ-დადაგული,
ინვის გული დადაგული
გამიფრინდა სიყვარული.
მივსდიე და არ დაბრუნდა
არც მიილო ქრთამათ ფული.
თუ რომ გიყვარს ჭეშმარიტათ
ასე უნდა სიყვარული.
ხელი მკერდსა გადავხვიოთ
ვითომ სურო, ხეს დარგული
ისე მტკიცეთ ჩაეკონოს
ვით ფათალო ჩანმანული
მაშინ ძალათ სიყვარული
შენ გაგიჩენს, ცეცხლსა მწველსა,
აგათრთოლებს, აგაჟროლებს
და ჭირს მიგცემს, ტკბილსა, ძნელსა.
მაშვინ მინდა მშვენიერო,
თვალი, თვალში გაუყაროთ
დავივიწყოთ თავი თვისი
ნეტარების ცრემლი ვღვაროთ.

მე რუსთველი

მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;
დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსიდ არი
ანუ მომეც განკურნება, ანუ მინა მე სამარი.
ბედი უბადოთ ჩემზედა, არ ახალია ძველია
კარგი რომ გჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია.

9. ლექსის პირველი ნაწილი აღებულია ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსიდან „გახსოვს, ტურფავ“...

დათვეზის ლხინი¹⁰

დათვეზა ლხინი გადიხადა, მოიწვია მეზობლები;
გარეშენიც ბევრი ჰყავდა: ტურა, მელა, კატა, მგლები.
უკეთესი მასპინძლობა, უნდა ვსთქვათ, რომ არ ნახულა;
რა სასმელი, რა საჭმელი! რა იყო რომ იქ არ დგმულა?
გადაკრეს და სადღეგრძელო სათვითათო გააჩინეს,
სამადლობელს სავსეს სვამდენ, წვეთი არვის შეარჩინეს.
გახალისთა დათუნია, მომლხენიც რომ სხვებიც ნახა,
თვისი ბოხი მაღალ ბანით „სუფრულიც“ კი შემოსძახა.
გაოცებულ თავის სტუმრებს მარტო ესეც არ აკმარა;
გადმოახტა სუფრას თავზე და ლეკურიც დაუარა.
მელაკუდამ ტაში დაკრა: „ამფერ! ჩემო დათუნაო!
როგორ გშვენიეს ეს დავლური, მაღაყები და ხტუნვაო!“
მაშინ მგელმა წასჩურჩულა: „მელავ! ტყუილს ნუ ამბობო!
სასაცილოთ დაძუნძულებს და შენ მაგრე რომ ამკობო?“
მაშინ მელამ უპასუხა: „ბრიყვი ხარ და სულელიო!
რას დავეძებ მაგის თამაშს? მე სხვა რამეს მეველიო.
მოუნონებ იამება, გაბრიყვდება ამ ქებითო
და ჩვენ კი რა გვენალვლება, ვახშმათაც აქ დავრჩებითო“.

დღეს მერცხალი შემოფრინდა

დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი დამესახა.
მივდექ სარკმელს, გადვიხედე,
არე-მარე მესხვაფერა!
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!

10. კრილოვის იგავ-არაკის ა. წერეთლისეული თარგმანი

სუნი მეცა გაზაფხულის:
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი, თუ: „გულსა რაღად ვიტენ?
ახლოს არის მომავალი!“

აკაკი წერეთელი

იგი მიენდოს სოფელსა

ბრძენმა თქვა, ერთი ქართული
შემოქმედს ქვაზე სწერია
თქვენ ღმერთმა იგი ნუ მოგცეს
რაც არა შესაფერია:
„იგი მიენდოს სოფელსა,
ვინც რომ თავისა მტერია.
ვისიც ერთგული მე ვიყავ,
სულ ყველა ჩემი მტერია.“

ვარდსა კითხეს

ვარდსა კითხეს, ეგ ზომ ტურფა
რამან შექმნა ტანად, პირად,
მიკვირს რათ ხარ ეკლოვანი
პოვნა შენი, რათ არს ჭირად.
მან თქვა: ტკბილსა მნარე ჰპოვებს
სჯობს იქნების, რათა ძვირად
ოდეს ტურფა გაიფედეს
ალარ ღირდეს არცა ძვირად.



პირველ რიგში მარცხენიდან: ვარლამ სიმონიშვილი, ჯასარიონ ინწყირველი, სამუელ ჩავჭავჭავაძე, ნუა სინარულიძე, ერმალ სინარულიძე, დათა მამაკაიშვილი. მეორე რიგში: ნიჭა ლომინაძე, ... ვაშალშიძე, სამსონ ურუშაძე. მესამე რიგში მარცხენიდან მეორე: ილი პატარაძე, ვახტანგ სინარულიძე, ვლადიმერ ჯარჯანიშვილი



სანაღმენიფო (სანაზინო) თეატრი. კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი გურულ-აჭარული გუნდით. მეორე რიგში თეთრი ჩოხით ვარლამ სიმონიშვილი. მარჯვნიდან პირველი არტაშ ერკომანიშვილი. 1917 წელი

საქონლური ხალხური სიმღერების ტექსტები

საყვარელო შენი ჯავრით

საყვარელო შენი ჯავრით, სანამლავს ვსვამ შხამზე მწარეს,
შენ რომ მიმატოვე, სად წადი და რომელ მხარეს,
შენი წასვლა, რომ გავიგე თლად გონება ამეშალა,
სულ დავკარგე სასოება და სიცოცხლის მთელი ძალა,
ნეტავ ახლა შენი ცქერა, ვის ატკობს და ვის ახარებს,
ჩემი ცოდვა ცეცხლს გაუჩენს, და გადასწვავს არე-მარეს,
უშენობით ეს ქვეყანა, ჩემთვის არის ერთი ჩალა
შენი ფეხის დანაბიჯი, მაინც მიყვარს ეს ქვეყანა.

საბოდიშო

ბატონებო მოუოხე, მოუოხე ბატონებო,
ლამაზი ბატონებია, ია და ვარდი გფენია.
ჭრელი ტანისამოსებით მობრძანდებიან ბიჭები,
ლამაზი ბატონებია, ია და ვარდი გფენია.
თეთრი ცხვარი და თხის ჯოგი, მორბის, თიკანმა იხტუნა,
გაუხარდა ბატონებსა, და უცბად პირი იბრუნა.

შალვა ჩემო სიხარულო

შალვა ჩემო სიხარულო, სიცოცხლეზე მეტად ტკბილო,
ჩემი თავის სანუგეშოდ ნაშობო და გამოზრდილო,
ბედისაგან დაჩაგრულო, დიდის ჭირის გადახდილო,
უნუგეშოთ დამწვარი ვარ, გთხოვ, მოხვიდე, მომიჩრდილო!
სანამ კალამს ავიღებდი, თავში ფიქრი მომიგროვდნენ,
და თითებიც მოსაწერად თამაშობდნენ, მიჩქაროდნენ.

ჩემი გულის პასუხები შენთან მოსვლას ისწრაფოდნენ,
რა საწერად საქმე მიდგა, გამიფრინდნენ, გამიჰქროლდნენ...
მუხათგვერდის კოშკიდგანა რაგილანში მიხვიდოდი,
მე იმედი მეკარგოდა: თუ გნახავდი, არ ვიცოდი!
ეს სოფელი საზოგადოდ ცრუ და გაუტანელია,
ერთი ვინმე აღმინიშნე, კმაყოფილი რომელია!
მეც ამიტომ დავიტანჯე: დავჭკნი, ხორცი დამელია,
ამდენ ტანჯვას ჩემთვის სჯობდა, სანამლავი დამელია.

სიმონ გუგუნავა¹¹

აჰა, სატრფოვ, გიკვდები

აჰა, სატრფოვ, გიკვდები, გულში მაქ შენი სენი,
სანამ ცოცხალი ვიქნები, შენ ჩემ ხარ, მე შენი,
თუმცა მრავალს უყვარხარ, მრავალიც გყავს მომტრფენი,
რა ვქნა მეც რომ მიყვარხარ, შენ ჩემი ხარ, მე შენი,
გთხოვ, რომ მრავალს ნუ შესცქერ, ნუ გყავს მომტრფე მაგდენი.
ისევ მე გამინათე თუ გწამს შენი გამჩენი

დილა

დილა არის ცა ლაჟვარდი, მზისა სხივით იფერება
და ქურდულად მიმაღულა, თვით მთვარე და ვარსკვლავთ კრება.
მობიბინე ვარდ-ყვავილი, გულ-მკერდს იშლის იფურჩქნება,
გამოიღვიძა ქვეყანამ, სამეჯლისოდ ემზადება.
იადონი ველს გაჰკვივის, ია კრთება, მორცხვობს, ნაზობს,
მას ნამს აფრქვევს კლდის ჩანჩქერი, მოცელქობს და მონავარდობს.

11. ნაწყვეტი სიმონ გუგუნავას პოემიდან „თამარიანი“. **სიმონ გუგუნავა (1839-1909)** — ქართველი პოეტი. პოემა „თამარიანის“ ავტორი, რომელიც გ.რჩეულიძეშვილის ისტორიული რომანის „თამარ ბატონიშვილის“ პოეტურ გადაამუშავებას წარმოადგენს. პოემა შექმნილია „ვეფხისტყაოსნის“ გავლენით.

დღით მზე ნათობს, ღამით მთვარე, დღე ღამეს სდევს, ღამე დღესო, თუ სინათლე არ გინახავს, ფასს ვერ დასდებ სინათლესო.
ვინც წარსულ დროს სტირის, მოთქვამს, აწინდელსაც ინანებსო, მკვდარს ტირილი ვერ მოარჩენს, შველა უნდა საღს და მთელსო.
ან მშვიდობით, მთვარე ვარსკვლავთ, ქებათ-ქება მნათობ მზესო, ვაშა-ვაშა, ბუნების წესს, რომ ნათელი მოსდევს ბნელსო.

ვარლამ სიმონიშვილი

ბაღია ჩვენი ქვეყანა¹²

ბაღია ჩვენი ქვეყანა, მივალთ და მიგვიხარია,
ვინც უვლის ბაღში ყვავილებს, ის ჩვენი მეგობარია.
დიად სამშობლოს საზღვრებზე. ხან დარი, ხან ავდარია.
ვინც მტკიცეთ იცავს ჩვენს საზღვრებს, ის ჩვენი მეგობარია.
ჩვენი ჰაერის გმირები არწივზე მაღლა მდგარია,
ვინც გრიგალს არ უშინდება, ის ჩვენი მეგობარია;
ვინც მზეს გვინათებს ამ ქვეყნად, მტრებისთვის შიშის ზარია,
მას ჩვენ დიდ სტალინს ვეძახით, ის ჩვენი მეგობარია.

სოფლად მოდის შემოდგომა

სოფლად მოდის შემოდგომა და ინვევენ ყველგან კრებას,
და მსჯელობენ, რომ შეუდგენ ციტრუსების დამზადებას
გურიიში ამ დროს ყველა მისცემია შრომის გრძნობას,
ნოემბერიც დადლილ მნათობს, უგალობებს ქებათ-ქებას,
როგორ შვენის სოფელს ნაზი, ბაღნარების თაიგული,
ველ-მინდორზე ჩაის ბუჩქი, ხალიჩებათ მოქარგული,

12. 1951 წელს გამოცემულ კრებულში „ქართულ ხალხური სიმღერები“ ტექსტის ავტორად მითითებულია გრ. ბერძენიშვილი. ჩაუნერია გრ. კოკელაძეს. გადმოცემელი ვ. სიმონიშვილი.

ციტრუსების მწვანე კაბა, ოქროს ღილით მოკაზმული,
როგორ სტკებდა ჭვრეტით თვალი, როგორ ტოკავს გრძნობით გული,
შრომას ლექსში ისე ჩავესოვ, რომ შეშურდეს ყველა მგოსანს,
ბრძოლის გურულ კრიმანჭულით, გავანზილებ ბუღბუღს ფრთოსანს,
ყვავილების კონად შევრკავ, იას, ვარდს და კეკლუც სოსანს.

ვარლამ სიმონიშვილი

ახლა ვხედავ საყვარელო

ახლა ვხედავ საყვარელო, ჩემზე ხელი აგიღია,
მოღრუბლულხარ პირად მზეო, შუბლიც აღარ გაგიღია,
შენ უღმერთოვ რა განყინე, მითხარ ერთი შემასმინე;
ან მომკალი, ან მაცოცხლე, ან ამ ტანჯვას მომარჩინე.
მზისა ნაცვლათ, შენ გიგონებ, სიტყვას რისთვის არ მიგონებ.
სადაც გნახავ პირს მარიდებ, მით გულს მიკლავ და მიღონებ.
მიჯობდა რომ მოვმკდარიყავ, მიწის მსხვერპლი გავმხდარიყავ,
სიკვდილი მოდის, მზადა ვარ, ეშხისაგან ავადა ვარ.

პასტანგური დედოფლის მაყრული

ვარდსა ჰკითხეს: ეგ ზომ ტურფა, რამან შეგქმნა ტანად პირად
მიკვირს რად ხარ ეკლოვანი, პოვნა შენი რად არს ჭირად,
მან სთქვა: ტკბილსა მწარედ ჰპოვე, სჯობს, იქნების რაცა ძვირად
ოდეს ტურფა გაიფდეს აღარ ღირდეს არცა ჩირად.
რადგან ვარდი ამას იტყვის, უსუნო და უსააკო
მაშა ლხინსა ვინ მოიმკის, პირველ ჭირთა უმუშაკო,
რას ენდური საწუთროსა, რა უქნია უარაკო.

ხალხური



ჩემი გაკეთებული გურული სიმღერები:

1. ადილა. გაყოფილი ხელხვავი
2. ნადური, გურიის. სხვადასხვა ვარიანტები
3. დათვების ლხინი
4. ბურთის გამარჯვება
5. დღეს მერცხალი შემოფრინდა
6. ფეხოსნური
7. გაზაფხული
8. ქართველი გმირები
9. 25 წლის არწივი საქართველოზე
10. საგუნდო დილა
11. ახალი ხუთწლედი — 1946 წელში
12. სანამ ცოცხალი ვიქნები — ვარალალი და
13. ბალია ჩვენი ქვეყანა
14. დილა

ოზურგათის სახელმწიფო
ეთნოგრაფიული გუნდი
(ხელმძღვანელი ვარლამ
სიმონიშვილი). 1935 წელი.
პირველ რიგში (მარჯვნი-
ვან): ნასტორ სიმონიშვი-
ლი და ვაჟა ახვლედიანი.
მეორე რიგში პირველი
ფაგას ტალე იოიოვილი,
მესამე — გიჟა შავიშვი-
ლი, მეთერთმეტი — შარ-
მანდინ ჭკუასელი. მესა-
მე რიგში პირველი — ფო-
მანტი ქარჩავა, მესამე
ვარლამ ვაშალომიძე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ.გეგეჭკორი. ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. თბ. 1954 წ.
2. ს.გუგუნავა „თამარიანი“. თბ. 1957.
3. ა.ერქომაიშვილი. ვარლამ სიმონიშვილი. ფირფიტის ანოტაცია. თბ. 1968 წ.
4. ა.ერქომაიშვილი. „ჩემი წინაპარი“. ჟურ. „მნათობი“. 2000 წ. N1-2.
5. ი.თავებერიძე. XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა. საპატრიარქოს გამომც. თბ. 2005.
6. ს.თოიძე. „საგალობელთა უნიკალური განძი და ხალხური ნოტები“. გაზეთი „ლენინის დროშა“. 1981 წ. 6 ოქტომბერი.
7. ვ. კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია. ქუთ. 1934.
8. ნ.მაღაზონია. „ოზურგეთული ამარკორდი“. გაზეთი „24 საათი“.
9. ი. სიხარულიძე. „ხასანბეგურა“. გაზეთი „ლენინის დროშა“. 1981 წ. 8 სექტემბერი, 12 ნოემბერი.
10. ქართული გალობა. თერთმეტი მარგალიტი. საარქივო ჩანაწერი. 1949. ნოტებზე გადაიღო და შეადგინა დავით შულღიაშვილმა (მისივე წინათქმით)
11. ქართული ხალხური სიმღერები. თბ. 1951.
12. ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. გურია. სამტომეული. თბ. 2004.
13. გ. შარაშიძე. გურული ლექსიკონი. წიგნში: ქართველურ ენათა ლექსიკა. თბ. 1938.
14. ვ. შილაკაძე ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისათვის. თბ. 1949.
15. ზ.ჭიჭინაძე. თავდგირიძიანთ გვარის ლალატი და ალი ფაშა თავდგირიძე. ახალ-სენაკი. 1896.
16. ა.წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ. 1971.

